

**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 მარტის №01-06/03  
რიგგარეშე სხდომის დღის-წესრიგის პროექტი**

1. „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში მომუშავე პირთა თვიური შრომის ანაზღაურების 10%-ის უკრაინის ომში დაზარალებული თუ უშეოდ დარჩენილი უკრაინელი მოქალაქეებისთვის ფულადი დახმარების სახით გაწევის თაობაზე წინადადების მოწონების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებელი:** საკრებულოს ფრაქცია  
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს  
თავმჯდომარე: დავით სირაბიძე

## ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №  
2022 წლის --- მარტი  
დაბა ქედა

**„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში მომუშავე პირთა თვიური შრომის ანაზღაურების 10%-ის უკრაინის ომში დაზარალებული თუ უმწეოდ დარჩენილი უკრაინელი მოქალაქეებისთვის ფულადი დახმარების სახით გაწევის თაობაზე წინადადების მოწონების შესახებ“**

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 03 მაისის დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 56-ე მუხლისა და მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ის მიერ ინიცირებული წინადადება „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში მომუშავე პირთა თვიური შრომის ანაზღაურების 10%-ის უკრაინის ომში დაზარალებული თუ უმწეოდ დარჩენილი უკრაინელი მოქალაქეებისთვის ფულადი დახმარების სახით გაწევის თაობაზე.“

2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ (კომისიის თავმჯდომარე - ამირან წულუკიძე) ამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-თ და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

3. ამ განკარგულების შესრულების მიზნით პროექტში წარმოდგენილი ფინანსური მხარეების უზრუნველყოფა მოახდინოს მერიის საფინანსო სამსახურმა (ხელმძღვანელი - ჯემალ ტაკიძე).

4. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარეების მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

## განმარტებითი ბარათი

### ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში მომუშავე პირთა თვიური შრომის ანაზღაურების 10%-ის უკრაინის ომში დაზარალებული თუ უმწეოდ დარჩენილი უკრაინელი მოქალაქეებისთვის ფულადი დახმარების სახით გაწევის თაობაზე“

#### ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

##### ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

წარმოდგენილი პროექტის მიღების მიზეზია უკრაინაში აგრესორი და ოკუპანტი რუსეთის მხრიდან ბოლო დღეების განმავლობაში წარმოებული ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები, რომელმა საომარმა მოქმედებებმაც უკვე შეიწირა უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე, ხოლო დიდი რაოდენობა ადამიანებისა კი დატოვა სრულიად უსახლკაროდ და უმწეოდ. მეგობარი ქვეყნის მოქალაქეები რომლებიც იბრძვიან მშვიდობისთვის, თავისუფლებისთვის და სტაბილურობისთვის ჩვენს კონტინენტზე, ყოველდღიურად იღებენ უზარმაზარ დანაკარგებს როგორც მატერიალური, ასევე ადამიანური თვალსაზრისით. ამ რთულ მომენტში უკრაინელი მოქალაქეებისადმი ნებისმიერი სახის დახმარება ჩვენი სახელმწიფოს ნებისმიერი ორგანოს, სტრუქტურის თუ ადამიანის პირდაპირი ვალდებულებაა.

##### ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

უკრაინაში განვითარებული საომარი მოქმედებების მიმართ შეუძლებელია გულგრილი იყოს ჩვენი ქვეყნის რომელიმე ღირსეული მოქალაქე. ამ რიგებში გამონაკლისს არ წარმოადგენს არც ქედის მუნიციპალიტეტი და მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი შესაძლებლობა უნდა იქნას ეფექტურად გამოყენებული იმისთვის, რომ დახმარება აღმოვუჩინოთ ჩვენს მოძმე ერს. წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღებით უკრაინაში რუსეთის აგრესიული საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული თუ უმწეოდ დარჩენილი მოქალაქეები ქედის მუნიციპალიტეტისგან მიიღებენ ფინანსურ დახმარებას, რომელი დახმარებითაც შეძლებენ გაუმკლავდნენ იმ სირთულეებს, რომელი სირთულეებიც მათ საომარი მოქმედებების შედეგად შეექმნათ.

##### ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არსს წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების მიღება, რათა მუნიციპალიტეტმა გამოხატოს თავისი კეთილი ნება და განახორციელოს ერთგვარი ჰუმანიტარული აქტი, რომელი ჰუმანიტარული აქტიც პოზიტიურ გავლენას იქონიებს როგორც უკრაინაში ომის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებზე, ასე ჩვენი სახელმწიფოების ურთიერთობებზე სამომავლოდ.

##### ა.დ) ინდივიდუალური აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღება უნდა განხორციელდეს მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში, რათა მუნიციპალიტეტმა დროულად გაუწიოს დახმარება ომის შედეგად დაზარალებულ უკრაინელ მოქალაქეებს.

**ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:**

**ბ.ა) პროექტის დაფინანსების წყარო:**

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

**ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და**

**კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:**

ინდივიდუალური აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

**დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:**

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

**ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:**

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ის თავმჯდომარე - დავით სირაბიძე

**ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:**

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ის თავმჯდომარე - დავით სირაბიძე